პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2018 წელი

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გრიგოლ ხანძთელის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს გრიგოლ ხანძთელის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე


N
1:1,500
X:480,589.148
Y:4,630,536.212
X:480,641.668
Y:4,630,574.177
გრიგოლ ხანძთელის I ჩიხი
X:480,555.740
Y:4,630,493.181
X:480,599.860
Y:4,630,407.483
X:480,605.125
Y:4,630,381.883

03/131

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ლია ჯახველაძეს

მოქ. [illegible]

მცხ. [illegible]

ტელ. 599 344045 2656773

პ/ნ 01007003286

მ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქმეთა 01.11.04.001
031

[illegible] ქ. [illegible] ქუჩის გაგრძელებაზე (ნიკი) ხეივნების ნაგალ [illegible] ტერიტორიის მიმდებარე. [illegible] 8 [illegible] [illegible]

[illegible] ქ. [illegible] ნიკი

ქ.[illegible]

/[illegible]/

[illegible] მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
№ 8571
"31" ივლისი 2017 წ.
ფურცელთა რაოდენობა 1 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

31.07.2017 წ.

12-03180053-03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: **60-01180042099**

თარიღი: **04.01.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 07.12.2017 წლის #03-031734120 (07.12.2017 #14-01173411278-60) განცხადება, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური - მიწის ნაკვეთის
საზღვრების მომზადების განყოფილება -
განყოფილების უფროსი

რუსუდან გეჯაძე


N
1:1,500
X:480,589.148
Y:4,630,536.212
X:480,641.668
Y:4,630,574.177
X:480,555.740
Y:4,630,493.181
X:480,599.860
Y:4,630,407.483
X:480,605.125
Y:4,630,381.883

03/131.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ზურაბ ზამთარაძე
პირადი ნომერი: 01007003286
მისამართი: თბილისი მისამართის გარეშე

წერილის ნომერი: **03-031734120**

თარიღი: **07.12.2017**

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე ზურაბ ზამთარაძის 2017 წლის 31 ივლისის მატერიალური სახის # 8571 განცხადებაზე. დაბა ზაჰესში გრიგოლ ხანძთელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხის სახელდებაზე. როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14- 59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (სსიპ-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური) მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი).

გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი